

თამაზ კოჭლამაზაშვილი

„ბიზანტია ქართულ წყაროებში“

იგ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტმა და პროგრამა „ლოგოსმა“ წლევანდელ წელს გამოსცა ვრცელი ორენოვანი სამეცნიერო კრებული – „ბიზანტია ქართულ წყაროებში“ Byzantium in the Georgian Sources (619 გვ.), რომელიც შეიქმნა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) გრანტის მეშვეობით. რედაქტორები: ნელი მახარაძე, ნოდარ ლომოვური.

კრებული მოიცავს ხუთ მონოგრაფიულ გამოკვლევას სრული ინგლისური თარგმანით:

1. ნოდარ ლომოვური, ქართული საისტორიო თხზულებები როგორც წყარო ბიზანტიის ისტორიისა (გვ. 7-94, 311-392).
2. ვახტანგ გოილაძე, ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ წყაროებში (გვ. 95-140, 393-427).
3. ერეკლე უორდანია, ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის ქართული წყაროები (გვ. 141-158, 428-440).
4. თამარ მესხი, ბერძნული ელემენტი ატენის ხეობის ტოპონიმიაში და ატენის სიონი (გვ. 159-222, 441-485).
5. ნელი მახარაძე, ძველი ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები და მათი მნიშვნელობა ბერძნული ენის ისტორიისათვის (გვ. 223-308, 486-557).

კრებულს ერთვის ციტირებული ლიტერატურის ნუსხა (558-582) და საძიებლები: პირთა სახელებისა და ეთნონიმებისა (583-602), გეოგრაფიულ სახელთა (602-615).

კრებულის სამეცნიერო აქტუალურობის ხაზგასასმელად მას წინ უძლვის მცირე წინასიტყვა, რომელშიც ვკითხულობთ:

„ბიზანტიის იმპერიას უმჭიდროესი კავშირი ჰქონდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მათ შორის კავკასიის ადრეფეოდალურ სახელმწიფოებთან (ქართლი, ევრისი, არმენია, ალბანეთი), ხოლო X ს-იდან კავკასიაში ჩამოყალიბებულ ერთიან ქართულ სახელმწიფოსთან კავშირი იმდენად აქტიური და მრავალმხრივი იყო, რომ გავლენა მოახდინა თვით რომის იმპერიაზე და ხელი შეუწყო მისი აღმოსავლეთი ნაწილის, ე. ი. მეცნიერული ტერმინოლოგიით ბიზანტიის თავისებურ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ

გაერთიანებად ჩამოყალიბებას. ჯერ კიდევ 1939 წელს სიმონ კაუხიშვილმა მოგვცა ბიზანტინიზმის, როგორც თავისებური ფენომენის, ახალი განსაზღვრა. მისი აზრით, ბიზანტინიზმი წარმოიქმნა ოთხი ძირითადი ელემენტის, ოთხი საწყისის შერწყმის შედეგად: ელინურობის, რომაულობის, აღმოსავლურობისა და ქრისტიანობის (История греческой литературы (схема - план), 1939, IX და X, 22-26). ეს დებულება ძირითადად გაზიარებულია საერთაშორისო ბიზანტინოლოგიაში.

ბიზანტინიზმის არსის ამ განსაზღვრას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისთვის, რამდენადაც „აღმოსავლურობაში“ იგულისხმება ქართველობაც.

იმის გამო, რომ ბიზანტინიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს ქრისტიანობა წარმოადგენდა, ბიზანტიის ისტორიას მკვლევართა უმეტესობა IV ს-ით იწევს. ამ ხანიდან ვიდრე XV ს-მდე, გარკვეულ პერიოდებში საქართველოს ცალკეული რეგიონები ან ბიზანტიის შემადგენლობაში შედიოდა, ან მასთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, ხან ურთიერთმტრული დაპირისპირება ჰქონდათ, ხან კი – მშვიდობიანი და მრავალმხრივი კონტაქტები. მიუხედავად მუდმივცვალებადი ვითარებისა, ამ ორ სამყაროს შორის არც ერთ საუკუნეში არ მოშლილა კულტურული ურთიერთობები და სულიერი ფასეულობებისადმი ერთგულება. ეს ცველაფერი შემოგვინახა ისტორიამ და, როგორც ბიზანტიურ წყაროებში დაფიქსირებული ცნობები საქართველოს შესახებ უდიდესი მნიშვნელობისაა საქართველოს ისტორიის შესასწავლად (იხ. ს. კაუხიშვილის მიერ გამოცემული რვატომეული „Georgica“ – „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“), ასევე ძველ ქართულ წყაროებში დაცული მონაცემები ხშირად უნიკალურია თავისი მნიშვნელობით ამ ურთიერთობათა სრული სურათის აღსაღენად, ხშირად კი – თვით ბიზანტიაში მიმდინარე პროცესების გარკვევისა და შეფასებისათვის. ეს მონაცემები ავსებს და აზუსტებს, ან განსხვავებულად წარმოგვიდგენს მოვლენებს, რასაც საერთაშორისო ბიზანტინოლოგიური მეცნიერება, მცირე გამონაკლისის გარდა, ვერ ითვალისწინებს ენის ბარიერის არსებობის გამო.

იმისათვის, რომ ეს მონაცემები მისაწვდომი ყოფილიყო რუს და, ამ გზით, უცხოელ მკვლევართათვის, ს. კაუხიშვილმა ჯერ კიდევ 1974 წელს დაარსა „გეორგიების“ ტიპის ახალი სერია რუსულ ენაზე – „Грузинские источники по истории Византии“, მაგრამ მან მხოლოდ პირველი მცირე მონაცემის გამოქვეყნება მოასწორო.

სწორედ ამ წამოწყების გაგრძელებას ისახავს მიზნად ხუთი ავტორის ნაშრომთა კრებული – „ბიზანტიის ქართულ წყაროებში“, რომელშიც ქართულ და ინგლისურ ენებზე შეტანილია გამოკვლევები ბიზანტიის შესახებ ქართულ წყაროებში (ისტორიულ დოკუმენტებში, ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, ეპიგრაფიკულ ძეგლებში) შემონახული ცნობების, აგრეთვე ბერძნული წარმომავლობის ტოპონიმიკური ლექსიკისა და ბიზანტიური ხანის ბერძნული ენის ისტორიისათვის საყურადღებო ლინგვისტური ხასიათის მასალების შესახებ.

ნოდარ ლომოურის მოწოდება – „ქართული საისტორიო თხზულებები როგორც წყარო ბიზანტიის ისტორიისა“ – თავს უყრის და აანალიზებს ბიზანტიის ისტორიისათვის საყურადღებო ცნობებს, რომლებიც შემონახულია შემდეგ საისტორიო თხზულებებში: **ლეონტი** მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველითგანთა მამათა და წათესავთა“, მისივე „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა, წმიდისა და წეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულის მიერ“, მისივე: „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა“, ჯუან-შერის „ცხოვრება გახტანგ გორგასალისა“, „მატიანე ქართლისა“, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე (ცხოვრება დემეტრე მეფისა, ცხოვრება გიორგი მეფისა, ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი, ცხოვრება გიორგი მეფისა, თამარის ძისა), ჟამთააღმწერელის თხზულება (საქართველოს ისტორია ლაშა-გიორგის გამეფებიდან გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე, ბერი ეგნატაშვილის ახალი „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფობსა საქართველოისა“. ნოდარ ლომოური თავის ნაშრომში განიხილავს ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებსაც, როგორც წყაროს ბიზანტიის ისტორიისათვის („წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაა“, „წამება შაბოისი“, „ცხორება და წამება კოსტანტი-კახავისი“, „ცხორება იოვანესი და ეფთემესი“, „ცხორება გიორგი მთაწმიდელისაა“). გამოკვლევაში ჩართულია ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი ვრცელი ამონარიდები თითოეული საისტორიო თხზულებიდან, რაც განსაკუთრებით ფასეული იქნება ბიზანტიის მკვლევართათვის.

ვახტანგ გოილაძის გამოკვლევა „ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ წყაროებში“ მოიცავს რამდენიმე საკითხს: 1) ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ ეპიგრაფიკაში (სამშვილდის სიონის, აბასთუმნის ეკლესიის, სამწევრისის, ატენის, ოშკის ტაძრებისა და ზარზმის ეკვდერის ლაპიდარული წარწერები, მინაწერები ხელმაწერებზე), 2) საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების ასახვა ძველ ქართულ და ბიზანტიურ წყაროებში, 3) ბიზანტიური ტიტულატურა იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში, 4) „კოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატის“ წოდება საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში.

ერეკლე უორდანის ნაშრომი „ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის ქართული წყაროები“ თავს უყრის და კომენტარს ურთავს ცნობებს რამდენიმე საისტორიო წყაროდან: ბასილი ეზოსმოძღვრისა და ჟამთააღმწერელის თხზულებები, ქორეთის ღმრთეების ეკლესიის წარწერა, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოასა საქართველოისა“. ნოდარ ლომოურის, ვახტანგ გოილაძისა და ერეკლე უორდანის წყაროთმცოდნეობით ნაშრომებში ამომწურავადაა შეჯამებული ქართული ისტორიოგრაფის ამ დარგის კვლევითი მონაპოვარი.

თამაზ მესხის გამოკვლევა „ბერძნული ელემენტი ატენის ხეობის ტოპონიმიაში და ატენის სიონი“ გვთავაზობს დიდალ მასალას განსახილველი საკითხისათვის. ბერძნული ენისა და ბერძნული ისტორიოგრაფიის ბრწყინვალე ცოდნა მკვლევარს საშუალებას აძლევს, ამ ენის საფუძველზე ახსნას წარმომავლობა ატენის ხეობის მრავალი ტოპონიმისა (ტანა, ატენი, დრე, დრისევი, ზენა-დრისი, დრის-ციხე, ოხერა, სიქალეთი და სხვა) და სათანადო ისტორიული საბუთების საფუძველზე ახსნას შიდა ქართლში მათი გაჩენა.

მკვლევარი ასაბუთებს, რომ „ტანა“ და „ატენ“ ტოპონიმები შიდა ქართლში კუნძულ ანდროსიდან გადმონერგილი უნდა იყოს (ადგილებისა და მათ სახელთა სემანტიკური მნიშვნელობების შესაბამისობის, აგრეთვე ქართლისა და ანდროსის ხსენებულ ადგილთა სიტუაციური იდენტურობის გამო).¹

ანდროსის ატენი ცნობილია დიდი ავტორიტეტის მქონე მონასტრით („ცხოვრებაშემოსილი წყარო“) და საგანმანათლებლო ცენტრით (VII–VIII სს.), სადაც თვით კონსტანტინოპოლიდანაც კი მოდიოდნენ ცოდნის დასაუფლებლად, ამიტომ ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ IX–X სს-ში ქართლის ატენის სიონთანაც უნდა არსებულიყო მნიშვნელოვანი სასწავლო ცენტრი, რომელიც ქრონოლოგიურად დიდად უსწრებდა წინ გელათის აკადემიას.

ტოპონიმ „ატენის“ ეტიმოლოგის დადგენამ და ატენის ხეობაში ბერძნული მიკროტოპონიმების გამოვლენამ („დრე“, „ოხერა“, „სიქალეთი“) და, მაშასადამე, შუა საუკუნეებში ამ ტერიტორიის მოსახლეობაში და მის კულტურულ ცხოვრებაში ბერძნული ელემენტის არსებობის გამოვლენამ მკვლევარს საშუალება მისცა ატენის სიონის სომხურ სამშენებლო წარწერაში ნახსენებ პირთა სახელების ახლებური გააზრებისა და ახსნისა: 1) თოდოსაკი (გ. ჩუბინაშვილის ვარაუდით – ატენის სიონის ხუროთმოძღვარი, გ. აბრამიშვილის მიხედვით – რესტავრატორი) ეროვნებით სომები კი არა, ბერძენი უნდა იყოს. ამ აზრამდე თ. მესხი მიდის დიდალი საისტორიო და ლინგვისტური მასალების ანალიზის შედეგად; 2) წარწერაში მოხსენიებული გრიგორი დაპსის ზედწოდება კი („დაპს“), რომელიც აქამდე გაუშიფრავი იყო, კვლავ მხოლოდ ბერძნული ენის ნიადაგზე იხსნება და ნიშნავს „უხვს“. გრიგორი დაპსი მკვლევართ აქამდე ხუროთმოძღვრის თანაშემწედ მიაჩნდათ,² მისი ზედწო-

1 ატენის ხეობის მდინარის სახელი – „ტანა“ ბერძნული ენის ნიადაგზე იხსნება და ნიშნავს „მდინარეს“, „წყალს“ (ამავე სახელის მქონე მდინარეები გვხვდება სამეცნიეროსა და გურეაშიც). „ატენი“ კი ბერძნულად ნიშნავს ადგილს, საიდანაც შეიძლება „ხედგა“, „ჰერეტა“, „დაზერვა“. ალბათ შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ მთას, რომლის ძირშიცაა ალმართული ატენის სიონი, ბერძნ. „ატენის“ ქართული შესატყვისი – „დანახვისის“ ჟეკვა. საეთი სახელი მან თავისი ბუნებრივი მდებარეობის გამო მიიღო: დანახვისიდან მთელი შიდა ქართლი მოჩანს, რასაც ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც: „დანახვისი დგას მაღალა მთასა ზედა, ეკლესია წმიდანისა გიორგისი, მჭურეტი ქართლისა“ („ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხსიშვილის გამოცემა, ტ. IV, 343). ამრიგად, თ. მესხის დასკვნით, ადგილისათვის ატენის დარჩევა მისმა მდებარეობამ განაპირობა.

2 თ. მესხი დამაჯერებლად გვიჩვენებს ხუროთმოძღვრის თანაშემწედ გრიგორი დაპსის მიჩნევის ულოვებებას: „განა გამართლებულია, რომ ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების ხელმძღვანელის რეენიფური გამოსახულება ტაძრის ჩრდილოეთის ფასადის ნიშაში მოეთავსებინათ, ხოლო მისი ამტრის წერისა (ინ თანაშემწისა, როგორც ადრე ვარაუდობდნენ), – გუმბათის ჟელის ცენტრალურ წახნაგზე?“ (გვ. 197).

დების ეტიმოლოგის საფუძველზე, თ. მესხის აზრით კი, სინამდვილეში იგი ქართველი დიდებული უნდა იყოს, ბალვაშთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი, რომელსაც უზვი შესაწირავი გაუღია ტაძრის აგებისათვის.

ნელი მახარაძის სამნაწილიანი მონოგრაფია – „ძველი ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები და მათი მნიშვნელობა ბერძნული ენის ისტორიისათვის“ – ძირითადად ეხება ბერძნულ ფონეტიკაში მომხდარ ცვლილებებს, რაც მან განიცადა შუა საუკუნეების განმავლობაში. ბიზანტიური პერიოდის ბერძნული ენის ისტორიის კვლევა, როგორც აღნიშნავს ავტორი, მრავალი თვალსაზრისითაა პრობლემური. კვლევას აძნელებს, პირველ ყოვლისა, წყაროთა სიმცირე, რაც იმდროინდელ განათლების სისტემაში, ღმრთისმსახურებასა და სახელმწიფო მმართველობაში გაბატონებული არ-ქაისტულ-პურისტული ტენდენციის შეფევია: ამ ტენდენციის გამო ხალხურ ენაში მომხდარი ცვლილებები წერილობით ძეგლებში არ აისახებოდა. მეორეც, ბიზანტიის იმპერიის მრავალეროვან და მრავალენოვან ვრცელ ტერიტორიაზე მოსახლეთა უმეტესობისათვის ბერძნული მეორე მშობლიური ენა იყო, რაც თითოეულ უცხოენოვან სისტემაში იწვევდა საერთო სამეტყველო ენად ქცეული ბერძნულის მრავალმხრივ სახეცვლილებას: უცხო ელემენტთა მოჭარბებას მის ლექსიკაში, ცვლილებებს მორფოლოგიასა და სინტაქსურ წყობაში, ფონეტიკურ სისტემაში.

ცალკეულ რეგიონებში სხვადასხვაგარი ენობრივი ზემოქმედების გამო ბერძნულ წარმოთქმაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები მთელი იმპერიის მასშტაბით ერთგვაროვანი არ ყოფილა. ფონეტიკური პროცესები რამდენადმე დამოუკიდებლად მიმდინარებდა რეგიონებში და ლოკალურ სისტემებს ქმნიდა. ამიტომაც ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის ისტორია ამ სისტემების ერთობლივი განხილვის გარეშე შეუძლებელი იქნება.

ნ. მახარაძის ნაშრომის პირველ ნაკვეთში შესწავლილია ძველი ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები ბიზანტიის ჩრდილო-დასავლური და სამხრეთ-აღმოსავლური რეგიონების ბერძნული წარმოთქმის თავისებურებათა გამოსავლენად. საკუთარი სახელებისა და ბერძნულიდან ნახესხები ლექსიკის ქართულ-ბერძნული გარალელები ავტორს მოჰყავს IX-XIII სს. ქართული თარგმანების მიხედვით (ბასილი დიდის „ექსტა დლეთა“, ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვს კაცისა“, გიორგი ამარტოლის „ხრონიკორი“, „ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ“, თეოფილაქტე ბულგარელის „განმარტება იოანეს სახარებისა“, იოსებ ფლავიოსის „იუდეველთა სიძველენი“, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი“ და სხვა.). გამოყენებულია იმავე პერიოდის ქართული ორიგინალური თხზულებებიც. ბერძნული ფრაზების ქართული ტრანსლიტერაციები კი მოჰყანილია „ძლისპირთა“ წიგნიდან.

ნაშრომის მეორე ნაკვეთი – „კოპტურ-ბერძნული დიგლოსიის შედეგები და ქართულ-ბერძნული ე. წ. ჰიბრიდული ხელნაწერი ლიბანიდან“ – ემყარება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Q-1477 ხელნაწერის ენობრივ მონაცემებს. ეს ხელნაწერი ლიბანის ერთ-ერთ მონასტერში დაცული XIV ს-ის

ქართულ-ბერძნული საღმრთისმახურო კრებულის (კონდაკ-კურთხევანის) ზუსტი პირია, შესრულებული 1953 წელს პროფესორ შალვა ვარდიძის მიერ. კრებულის ტექსტი, ქართულიც და ბერძნულიც, ქართული ანგანითაა ჩაწერილი. საიდუმლო ლოცვები ქართულად წერია, კვერექსები და ასამალ-ლებლები კი – ბერძნულად: ბერძნული მონაკვეთების ქართული ტრანს-ლიტერაცია ასახავს ბერძნული ტექსტის წარმოთქმის იმ სახეს, რომელიც მის ჩამწერ ქართველ მღვდელმსახურს მოუსმენია (დაახლ. XIV ს-ში). ნ. მახარაძემ გამოარკვია, რომ ესაა კოპტურ-ბერძნული მრავალსაუკუნოვანი თანაარსებობის პირობებში, ინტერფერენციის შედეგად ჩამოყალიბებული წარმოთქმა ბერძნული ტექსტისა, რასაც ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკური სისტემის კვლევისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ნაშრომის მესამე წაკვეთში („ლიტურგიკული პრაქტიკა და პონტოური დიალექტის გავლენის სფერო“) გამოკვლეულია ბერძნული ლიტურგიკული ტექსტების ქართული ტრანსლიტერაციის შემცველი S-3475 ხელნაწერი. მკვლევრის დასკვნით, იგი შექმნილია ბერძნული ენის პონტოური დიალექტის გავრცელების არეალში რომელიმაც ქართველი მღვდელმსახურის მიერ (XV-XVI სს-ში). ამ ხელნაწერიდან დამოწმებული ბერძნულ-ქართული პარალელები უძვირფასესი წყაროა პონტოური დიალექტის ჩამოყალიბების ისტორიისათვის.

ბიზანტიის შესახებ ქართული წყაროების კვლევა, რა თქმა უნდა, არაა ამოწურული სარეცენზიო კრებულში, და იგი შემდგომ მუშაობას საჭიროებს, მაგრამ ის, რაც ამ კრებულით გაკეთდა, ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს ბიზანტინისტიკით დაინტერესებულ ქართველ და უცხოელ მკვლევართ.